967/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585/3

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

46

№ 7 (318)

1967 წლის ივლისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 7 (318) ივლისი 1967 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

375. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ლ. ნადაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ.

376. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლოს შექმნისა და მასში სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის შესახებ.

377. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოციალისტური კანონიერებისა და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 28 თებერვლის დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ თეთრწყაროს, საჩხერისა და ონის რაიონებში.

378. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ზოგიერთი სოფლისა და დაბის კეთილმოწყობის მდგომარეობის შესახებ.

379. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის და საწარმოო ტანვარჯიშის ღონისძიებათა შესახებ.

380. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ა. სალარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

381. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. დ. კუპრავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

განყოფილება მეორე

382. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

383. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. შენგელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სასატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

384. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ს. ჭანბას ხაქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

375 **ამხ. გ. ლ. ნადაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაშვებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად ამხ. გიორგი ლევანის ძე ნადაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე მის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი. 1967 წლის 10 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

376 **ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლოს შექმნისა და მასში სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის შესახებ**

იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. ზუგდიდი გამოეყო ზუგდიდის რაიონს და გარდაიქმნა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას ქალაქ ზუგდიდის სახალხო სასამართლო ორი სახალხო მოსამართლის შემადგენლობით.

ამასთან დაკავშირებით, ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს ორი სახალხო მოსამართლით, ნაცვლად ოთხისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

377 **სოციალისტური კანონიერებისა და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 28 თებერვლის დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ თეთრიწყაროს, საჩხერისა და ონის რაიონებში**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თეთრიწყაროს, საჩხერისა და ონის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გარკვეული ღონისძიებანი განახორციელეს სოციალისტური კანონიერებისა და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის თაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 28 თებერვლის დადგენილების განსახორციელებლად.

სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე პერიოდულად იხილავენ სოციალისტური კანონიერებისა და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის საკითხებს. გასულ წელს თეთრიწყაროს, საჩხერისა და ონის რაიონულმა საბჭოებმა სესიებზე განიხილეს — „რაიონის კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო წესდების დაცვისა და მიწათსარგებლობის კანონის გატარების“, „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობისა“ და სხვა საკითხები.

გარდა ამისა, აღნიშნულმა რაიონებმა აღმასკომების სხდომებზე განიხილეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების, მიწათსარგებლობის, შრომის ორგანიზაციისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის დაცვის საკითხები.

ონის რაიონის პიპილეთისა და სორის სასოფლო საბჭოებმა სესიებზე განიხილეს საკითხი „სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში მიწათსარგებლობის კანონის გატარების შესახებ“, ხოლო თეთრიწყაროს რაიონის ჯორჯიაშვილისა და კოდის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა — „კოლმეურნეობებში მიწათსარგებლობის მდგომარეობისა“ და „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის მდგომარეობის“ შესახებ.

ამასთან, პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თეთრიწყაროს, საჩხერისა და ონის რაიონების კოლმეურნეობებში კვლავ ადგილი აქვს სოციალისტური კანონიერებისა და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დარღვევებს.

აღნიშნული რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობა ჯერ კიდევ არასაკმარის ყურადღებას უთმობს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებების მომზადებასა და ორგანიზებულად ჩატარებას, იშვიათად იხილავს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის, კოლმეურნეობის წევრთა შორის შრომის ორგანიზაციის, დისციპლინის განმტკიცებისა და სხვა საკითხებს.

არარეგულარულად ტარდება კოლმეურნეობების საერთო კრებები. თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ალექსეევკის კოლმეურნეობაში 1966 წლის მანძილზე მხოლოდ 4 კრებაა ჩატარებული, ხოლო საჩხერის რაიონის სოფელ პერევის კოლმეურნეობაში გასული წლის მაისის, სექტემბრის, ოქტომბრის და დეკემბრის თვეებში კოლმეურნეთა საერთო კრება არ ჩატარებულა, არ გააჩნიათ კოლწევრთა დასწრების აღრიცხვის ჟურნალი.

საჩხერის რაიონის სოფელ ჭოილის და ონის რაიონის სოფელ პიპილეთის კოლმეურნეობებში ზოგჯერ კოლწევრთა საერთო კრება ქვორუმის დარღვევით ტარდება.

ზოგ კოლმეურნეობაში გამგეობები წყვეტენ ისეთ საკითხებს, რომლებიც საერთო კრებების კომპეტენციაში შედის.

თეთრიწყაროს რაიონის ბორბალოს კოლმეურნეობის გამგეობამ საერთო კრების გვერდის აცლით კოლმეურნეობის წევრად მიიღო გ. კიკალიშვილი და სამ კოლმეურნეს გამოუყო საკარმიდამო ნაკვეთი, ხოლო ალექსეევკის კოლმეურნეობის გამგეობამ დაამტკიცა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. ასეთივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასწორ დადგენილებებს ღებულობენ ონის რაიონის პიპილეთის, სო[illegible] უწერის კოლმეურნეობათა გამგეობები.

ადგილი აქვს კოლმეურნეობის წევრთა უკანონოდ დაჯარიმების ფაქტებს 1966 წელს, საჩხერის რაიონის სოფელ პერევის კოლმეურნეობის გამგეობამ, გამწევი ძალის მოცდენისათვის, 110 მანეთით დააჯარიმა 8 კოლმეურნე; სპეთის კოლმეურნეობის გამგეობამ საერთო კრებაზე გამოუცხადებლობისათვის 16 კოლმეურნე დააჯარიმა 3-3 მანეთით; კორბოულის კოლმეურნეობის გამგეობამ ათ-ათი მანეთით დააჯარიმა 3 კოლმეურნე დავალების შეუსრულებლობისათვის, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარის განკარგულების შეუსრულებლობისათვის კოლმეურნე ზ. შეყილაძე დაჯარიმდა 3 შრომადღით. ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს ონის რაიონის კოლმეურნეობებშიც.

ირღვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“. ასე მაგალითად, თეთრიწყაროს რაიონის ბორბალოს კოლმეურნეობის გამგეობამ 1967 წლის 28 თებერვლის დადგენილებით კოლმეურნეები შ. ლომიძე და გ. ვარსიმაშვილი წანახედისათვის დააჯარიმა თითოეული 5 მანეთით. ალექსეევკის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნე დ. კარკუზოვი 1966 წლის განმავლობაში სამჯერ დააჯარიმეს და გადაახდევინეს 47 მანეთი. საჩხერის რაიონის კორბოულის და ონის რაიონის პიპილეთის კოლმეურნეობებმა ისე აინაზღაურეს წანახედით მიყენებული მატერიალური ზარალი, რომ კანონის დამრღვევნი დასაჯარიმებლად არ გადაუციათ სასოფლო საბჭოებისათვის.

კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა სარევიზიო საკონტროლო მუშაობა. რევიზიები არ ტარდება ყოველ კვარტალში, კოლწევრთა საერთო კრებებზე იშვიათად განიხილავენ სარევიზიო კომისიების აქტებს.

პროკურატურის ზოგიერთი ადგილობრივი ორგანო სისტემატურად არ ახორციელებს სათანადო ზედამხედველობას კოლმეურნეობების მიერ კანონიერების დაცვის საქმეში.

სოციალისტური კანონიერებისა და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ თეთრიწყაროს, საჩხერისა და ონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, განსაკუთრებით კი სასოფლო საბჭოები, სუსტად იყენებენ იმ უფლებებს, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ, უყურადღებოდ ტოვებენ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებისა და გამგეობების ისეთ დადგენილებებს, რომლებიც არ შეესაბამებიან მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს თეთრიწყაროს, საჩხერისა და ონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიიღონ გადამჭრელი ზომები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 28 თებერვლის დადგენილების განუხრელად შესრულებისათვის. გატარებული ღონისძიებების შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმდინარე წლის ბოლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს შეამოწმონ კოლმეურნეობებში სოციალისტური კანონიერებისა და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის მდგომარეობა და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდციოდ.

3. პროკურატურის ორგანოებმა გააძლიერონ ზედამხედველობა კოლმეურნეობათა მიერ სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

378 რესპუბლიკის ზოგიერთი სოფლისა და დაბის კეთილმოწყობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ თ. მოსაშვილის მოხსენება — „რესპუბლიკის ზოგიერთი სოფლისა და დაბის კეთილმოწყობის მდგომარეობის შესახებ“, აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოები, კოლმეურნეობების სახსრებითა და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებენ სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობის, მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებასთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიზნით, სოფლის ყრილობებზე დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი სოფლების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამასთან ერთად, პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი სოფლისა და დაბის კეთილმოწყობის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ქუჩების, გზების და ხიდების შეკეთებას; ცოტაა ავტობუსების გაჩერებები, მოწყობელია მოსაცდელი ჯიხურები, წყაროებთან მისასვლელები და სხვა.

ბოლნისის, ქარელის, ხობის, ვანის, მაიაკოვსკის რაიონებში და ქ. ჭიათურაში ზოგიერთი საგზაო-საექსპლუატაციო უბნის, აგრეთვე საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების უყურადღებობის გამო, გზებზე დაზიანებულია საგზაო ნიშნები და სხვა მოწყობილობანი (საგზაო სარკეები, გამაფრთხილებელი ნიშნები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაკეთებელია მარნეულის, ბოლნისის, ქარელის, მაიაკოვსკის, ხობის ვანის რაიონული ცენტრებისა და სასოფლო საბჭოების ტერიტორიებზე მდებარე წყალსადენები და კანალიზაციის ქსელი.

მოუგვარებელია მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგებისა და ქუჩების ელექტროგანათების საქმე, განათების გარეშეა დარჩენილი ხობის, ვანის, მარნეულისა და ქარელის რაიონების ზოგიერთი სოფელი.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ქუჩებისა და მოედნების გამწვანების საქმეს, არ არის მოწყობილი სანერგე მეურნეობები, ბაღ-სკვერებში ცოტაა სკამები და სპორტ-ინვენტარი (ვანის, ხობის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონები).

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდეგ დაბალ დონეზეა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, განსაკუთრებით სოფლად. საყოფაცხოვრებო მომსახურების არსებულ ობიექტებში დაბალია წარმოების და მომსახურების კულტურა. ქ. ჭიათურის ვაჭვევის, ხვაშთის, ითხვისის და მანდაეთის, ხობის რაიონის ხეთის, პირველი მაისის, ნოჯიხევის სასოფლო საბჭოების სოფლებში არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების არცერთი ობიექტი, ხოლო ქ. ჭიათურის, ქარელის, მარნეულის, ვანის, ბოლნისის, მაიაკოვსკის და ხობის რაიონების ბევრ სოფელში არ არის აბანოც კი.

სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, მუდმივი კომისიები, დეპუტატები სისტემატურად არ სწავლობენ სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს, ნაკლებად აბამენ ამ დიდ სახალხო საქმეში მოსახლეობას და, რაც მთავარია, ყველა ღონისძიებას არ ატარებენ ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისა და „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დადგენილების განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათი „რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქის, სოფლისა და დაბის კეთილმოწყობის მდგომარეობის შესახებ“ განსახილველად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს, „საქმიდროენერგომშენს“ და მშრომელთა დეპუტატების მარნეულის, ქარელის, ვანის, ბოლნისის, მაიაკოვსკის, ხობის რაიონული საბჭოებისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომებს.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების მარნეულის, ქარელის, ბოლნისის, ვანის, მაიაკოვსკისა და ხობის რაიონული საბჭოებისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომებს:

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობისათვის; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქუჩების, მაგისტრალური გზების, ბოგირებისა და მოედნების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, ქუჩების გამწვანებას, ბანათებას, მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, სანიტარული წესრიგის დაცვას, ქუჩებისა და ბაღ-სკვერების შემდგომი გამწვანების მიზნით სანერგე მეურნეობებისა და სათბურების მოწყობას;

ბ) საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და აქტივის მონაწილეობით პერიოდულად შეისწავლონ სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობის მდგომარეობა და განახორციელონ ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ; ამასთან, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის საქმეში ფართოდ ჩააბან მათ ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებები და მოსახლეობის ფართო მასები; შექმნან საზოგადოებრივი აზრი იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ზიანს აყენებენ გზებსა და ნარგავებს; საბჭოს სესიებზე და სოფლის ყრილობებზე განიხილონ გზებისა და საგზაო ქონების დაცვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საკითხები;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლების გეგმიანად განაშენიანების საქმეს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს (ამხ. გ. რობიტაშვილი) უზრუნველყოს გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, კაპიტალური რემონტის და მოვლა-პატრონობის შემდგომი გაუმჯობესება, გაუზარდოს ამ საქმისადმი ადგილობრივი საგზაო მუშაკების პასუხისმგებლობა, მეტი ყურადღება მიაქციონ ჯიხურების, ფანჩატურებისა და სხვა ნაგებობების მოწყობის, წყაროებისა და გზების კეთილმოწყობის საქმეს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს (ამხ. ფ. დუმბაძე) უზრუნველყოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ობიექტების მშენებლობის 1967 წლის გეგმის შესრულება, გაუმჯობესოს საყოფაცხოვრებო ობიექტების სათანადო მასალებითა და დანადგარებით მომარაგების საქმე; შეიმუშაოს კომპლექსური ღონისძიებანი სოფლის მოსახლეობის მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის იმ ანგარიშით, რომ უახლოს წლებში არსებითად გაუმჯობესოს სოფლებისა და დაბების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

379 დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის და საწარმოო ტანვარჯიშის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მდივნის დეპუტატ დ. იოსელიანის მოხსენება რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და საწარმოო ტანვარჯიშის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით გარკვეული მუშაობა ჩაატარეს მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა-განვითარების საქმეში. ამ ღონისძიებებში რესპუბლიკაში ჩაბმულია 994 ათასი კაცი. აქედან საწარმოო ტანვარჯიშში — 133 ათასი მშრომელი და მოსწავლე-ახალგაზრდა, საერთო ფიზიკურ მომზადებასა და გამაჯანსაღებელ ჯგუფებში — 173 ათასი კაცი, ხოლო 89 ათასამდე კაცი გაერთიანებულია ტურიზმის სექციებში.

საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის დანერგვა-განვითარების საქმეში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში, სადაც შექმნილია ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბები „დილა“, „გზაფხული“, „რიონი“, „კოლხიდა“ და სხვა.

მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ბევრგან შეიქმნა და კეთილმოეწყო სპორტული მოედნები, ჩატარებულ იქნა სპორტული შეჯიბრებები მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთათვის და სხვა.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებები აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ვანის, წალენჯიხის, ცხაკაიასა და ჩხოროწყუს რაიონებში.

ხშირია შემთხვევები, როცა მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელ ადგილებში საზოგადოებრივ საწყისებზე მოწყობილ სპორტულ მოედნებს და ნაგებობებს უსაფუძვლოდ ანგრევენ სხვა დანიშნულების ობიექტების ასაშენებლად (გარაჟები, საწყობები და სხვ.).

სერიოზული ნაკლოვანებები არსებობს საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა-განვითარების საქმეში. თბილისის, ბათუმის, სოხუმის და ქუთაისის რიგ წარმოება-დაწესებულებებში საწარმოო ტანვარჯიში დაბალ დონეზე ტარდება,

მასში ჩაბმული არ არის მუშა-მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, საწარ-მოო ვარჯიში არასწორად არის შეხამებული სამუშაო დღის რეჟიმთან.

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, ქუთაისის საგალანტერიო ფაბრიკაში და ბათუმის გემსაშენ ქარხანაში არასწორადაა ორგანიზებული საწარმოო ფიზკულტურა, ხოლო ზოგიერთ ორგანიზაციებში მუშა-მოსამსახურეებს საერთოდ არ უტარდება საწარმოო ტანვარჯიში.

სუსტად მიმდინარეობს მასობრივ ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობა და საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის საქმე სოფლად. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნეს“ 1924 ფიზკულტურული კოლექტივიდან საწარმოო ტანვარჯიში დანერგილია 134 კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივში.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული რადიოს საშუალებით საწარმოო ტანვარჯიშის გადაცემის საქმე, საწარმოო ტანვარჯიშის კომპლექსს სეზოგადოებრივი ინსტრუქტორები ატარებენ მუსიკის თანხლების გარეშე, რაც აქვეითებს გამამხნევებელი ვარჯიშის ზემოქმედებით უნარს.

ნაკლოვანებებია საწარმოო ტანვარჯიშის პროპაგანდის საქმეში. ბევრ წარმოება-დაწესებულებაში არ არის მოწყობილი სტენდები, არ აქვთ პლაკატები, ლოზუნგები და სხვა. ქართულ ენაზე გამოცემული არ არის საწარმოო-მეთოდური სახელმძღვანელოები და თვალსაჩინო მასალები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირს (ამხ. სიხარულიძე) საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად:

ა) მიიღოს საჭირო ზომები რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობისა და საწარმოო ტანვარჯიშის გასაუმჯობესებლად, 1968 წლის პირველ ოქტომბრამდე შეამოწმოს საწარმოო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშა-მოსამსახურეთა საერთო ფიზიკური მომზადება, საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარების ხარისხი და განახორციელოს ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ბ) წარმოება-დაწესებულებებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო ტანვარჯიშის ფართოდ დანერგვის მიზნით მოამზადოს საზოგადოებრივი ინსტრუქტორები და მეთოდისტები საჭირო რაოდენობით. მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მოაწყოს მუდმივმოქმედი საკონსულტაციო პუნქტები, სემინარები, შეკრებები და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტებისა და ინსტრუქტორების წარმოებებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეს;

გ) ფიზიკური მომზადების, ტურიზმისა და საწარმოო ტანვარჯიშის უკეთ მოწყობის მიზნით, 1968 წლიდან, წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და საცხოვრებელ ადგილებში მოაწყოს დათვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიერება-კონკურსი. შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესდეს სხვადასხვა სახის წახალისებანი: სიგელები, სამკერდე ნიშნები და სხვა.

2. დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. ლ. საყვარელიძე) მიიღოს საჭირო ზომები, რომ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივმა ორგანოებმა უზრუნველყონ ფიზკულტურის დისპანსერებისა და ადგილობრივი ჯანმრთელობის პუნქტების საქმიანობის გაუმჯობესება. დააწესონ სამედიცინო კონტროლი საწარმოო ტანვარჯიშის, ტურიზმისა და გამაჯანსაღებელი ჯგუფების წევრებზე. შეისწავლოს ადამიანის ჯანმრთელობაზე და შრომის ნაყოფიერებაზე ტურიზმის, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და საწარმოო ტანვარჯიშის დადებითი გავლენის კონკრეტული საკითხები და გაზეთის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით მოაწყოს მისი პოპულარიზაცია.

3. სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ცენტრალურმა საბჭომ უზრუნველყოს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა, საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

4. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს მიიღონ საჭირო ზომები წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გასაუმჯობესებლად, პერიოდულად შეისწავლონ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის დაყენების საკითხები და განიხილონ ისინი სესიებზე, აღმასკომის სხდომებზე და დასახონ ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხების პროპაგანდის საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

380 ამხ. შ. ა. სალარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. შალვა ალექსანდრეს ძე სალარიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 14 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

381 ამხ. ვ. დ. კუპრავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გათავისუფლდეს ამხ. ვახტანგ დავითის ძე კუპრავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 14 ივლისი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

382 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულის გადარჩენისას გამბედაობისა და მოსაზრებულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მილიციის უფროსი ლეიტენანტი რევაზ გრიგოლის ძე კიზირიძე მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 11 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

383 ამხ. ა. ს. შენგელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. აქსენტი სამსონის ძე შენგელია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 19 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

384 ამხ. ი. ს. ჭანბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. იური სამსონის ძე ჭანბა დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1967 წლის 19 ივლისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი: „კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკით უზრუნველყოფისა და რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში მისი გამოყენების მდგომარეობის შესახებ“.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარე მ. საბაშვილი.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა ი. კავლაძემ, გ. კავთიაშვილმა, პ. მაკაროვმა, შ. ეცადაშვილმა, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის სამმართველოს უფროსმა ბ. გიგიაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანების — „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ გ. სეხნიაშვილმა, თერჯოლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ღიბრაძემ, ახალქალაქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. თეთვაძემ, საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ პ. კავთუაშვილმა.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. კვაჭაძემ.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელმაც განიხილა საკითხი „რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სოფლების კეთილმოწყობის მდგომარეობის შესახებ“.

მოხსენება გააკეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა თ. მოსაშვილმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ კომისიის წევრები, დეპუტატები ვ. გოცირიძე, შ. ნემსაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე შ. ლებანიძე, ქარელის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. კობაძე, საგარეჯოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. დავითაშვილი, რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კოლეგიის წევრი, არასამრეწველო სახეობათა საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების უფროსი გ. ლორთქიფანიძე.

ეს საკითხი კომისიამ განსახილველად შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივმა კომისიამ განიხილა საკითხი „თბილისის, რუსთავისა და გორის ზოგიერთ სამრეწველო საწარმოში ახალი ტექნიკის და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის მდგომარეობის შესახებ“.

მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ხვედელიანმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ კომისიის წევრი დეპუტატი შ. კულულაშვილი, რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნის დირექტორი ვ. პოპიაშვილი, კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი მ. ბაბუნაშვილი, თბილისის პლასტმასების ქარხნის დირექტორი ტ. ჯვარშეიშვილი.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება.

* *
*

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომა. მოხსენება ქალაქ ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ გააკეთა კომისიის წევრმა, დეპუტატმა ა. კორშიამ, მან აღნიშნა, რომ ქალაქ ქუთაისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების 1966 წლის გეგმა შესრულებულია 116,5 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმა — 120,3 პროცენტით. ამას დიდად უწყობენ ხელს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატები, მუდმივი კომისიები, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისტემატურად იხილავენ საკითხებს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობის შესახებ.

მაგრამ, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში მიღწეულ წარმატებებთან ერთად, ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი: დაბალია მომსახურების კულტურა სამკერვალო ატელიეებში, საპარიკმახეროებში, ავტოპროფილაქტორიუმებსა და სხვ. შემკვეთები დაგვიანებით იღებენ შეკვეთებს; ხშირია შემთხვევები, როცა ხელზე არ აძლევენ ჩეკს მიღებული შეკვეთების შესახებ და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები ძირითადად დაკომპლექტებულია კვალიფიციური სპეციალისტებით, ჯერ კიდევ არის ისეთი შემთხვევები, როცა სამუშაოზე იღებენ იმ პირთ, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი სპეციალობა.

არასახარბიელო მდგომარეობაა საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ობიექტების მშენებლობის საქმეშიც. მშენებლობა დიდი ხნით ჭიანურდება. მაგალითად, ავტოპროფილაქტორიუმის რეკონსტრუქცია, რომელიც 1964 წელს დაიწყო, უნდა დამთავრებულიყო 1966 წლის 1 იანვრისათვის, მაგრამ მშენებლობა დღემდე არ დამთავრებულა. ანალოგიური მდგომარეობაა მშენებლობის სხვა ობიექტებზეც.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ქალაქ ქუთაისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი გ. რუხაძე, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სამშენებლო სამმართველოს ქუთაისის უბნის უფროსი ნ. დვალიშვილი, მოსახლეობის არასამრეწველო სახეობათა მომსახურების განყოფილების უფროსი ინჟინერი ნ. გამყრელიძე, დეპუტატი ა. გონაშვილი და სხვ.

მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დ. მამულაძემ შეაჯამა სხდომის შედეგები.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

კომისიამ გადაწყვიტა მასალები ქალაქ ქუთაისის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების შემოწმების შედეგების შესახებ გადაუგზავნოს განსახილველად ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 11 ივლისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვა 427 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

№ 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ. თბილისიდან	— 12
ქ. რუსთავიდან	— 10
ქ. გორიდან	— 3
ადიგენის რაიონიდან	— 7
ასპინძის „	— 23
ახალქალაქის „	— 33
ახმეტის „	— 13
ბოგდანოვკის „	— 19
ბოლნისის „	— 19
გორის „	— 19
ზესტაფონის „	— 10
ზუგდიდის „	— 21
თელავის „	— 10
თეთრიწყაროს „	— 19
თერჯოლის „	— 37
თიანეთის „	— 7
ლაგოდეხის „	— 24
მესტიის „	— 9
მცხეთის „	— 10
ორჯონიკიძის „	— 7
საგარეჯოს „	— 54
საჩხერის „	— 19
სიღნაღის „	— 2
წალკის „	— 19
ცაგერის „	— 8
ხობის „	— 13